გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 73

2018 წლის 13 ივლისი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის გერბი №1 დანართის თანახმად;

მუხლი 2. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის დროშა №2 დანართის თანახმად.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

გერბი

გორის მუნიციპალიტეტის გერბის ფარი გადაკვეთილია და გაკვეთილია ოთხ ნაწილად (ველად) ვერცხლის თეთრი ჯვრით. რომელზეც განთავსებულია მეწამული წითელი მოტივტივე ჯვარი.

პირველი ნაწილი - მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ორი ოქროს ისრით გამსჭვალული ვერცხლის მთა, (იბერიის მთა) ოქროს ცეცხლით.

მეორე ნაწილი - ლაჟვარდის ველზე გამოსახულია გადაშლილი ვერცხლის (თეთრი) წიგნი.

მესამე ნაწილი - ლაჟვარდის (ლურჯ) ველზე გამოსახულია ოქროს ძნა.

მეოთხე ნაწილი - მეწამულ წითელ ველზე გამოსახულია ოქროს სამი რცხილის ფოთოლი.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით.

ფარს ქვემოთ ვერცხლ-მეწამულ ბაფთაზე მოთავსებულია გერბის დევიზი. ბაფთის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი „გორი“.

დროშა

გორის მუნიციპალიტეტის დროშის ველი თეთრ ქობაშემოვლებული მეწამული ჯვრით გაყოფილია ოთხ ნაწილად.

დროშის პირველი და მეოთხე ნაწილი მეწამულია, ხოლო მეორე და მესამე ნაწილი ლაჟვარდისფერი.

ზედა მარჯვენა მეწამულ ველზე გამოსახულია ორი ოქროს ისრით გამსჭვალული ვერცხლის მთა (იბერიის მთა) ოქროს ცეცხლით.

დროშის პროპორცია 2/3.